



## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა



საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის  
შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშთან  
დაკავშირებით

## შინაარსი

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები .....	3
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები .....	8
გადასახდელები.....	8
სხვა ხარჯები .....	14
საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები .....	15
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები.....	17
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი .....	19
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი .....	20
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი .....	20
სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ნაშთი .....	20
სახელმწიფო ვალი .....	22
ვალდებულებების ზრდა .....	24
ვალდებულების მომსახურება და დაფარვა.....	26
სახელმწიფო ბიუჯეტის სალდო .....	30
საერთო შეფასება .....	32

## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2011 წლის დეკემბერში დამტკიცებული კანონით 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მთლიანი შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 8 015 400 ათასი ლარით. 2012 წლის მაისში ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა გაიზარდა 226 570 ათასი ლარით, რაც ძირითადად საგრანტო შემოსავლების (94 000 ათასი ლარით) და სხვა შემოსავლების (120 000 ათასი ლარით) ზრდით იყო განპირობებული. კანონის შემდგომი ცვლილებები შემოსულობების მოცულობას არ შეხებია. შემოსულობების სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაგეგმილი შემოსულობების უდიდესი წილი შემოსავლებზე (85%) და ვალდებულებების ზრდაზე (13%) მოდის.




საბიუჯეტო შემოსულობების ფაქტობრივი შესრულება რვა თვის მდგომარეობით 5 185 500 ათასი ლარს გაუტოლდა, რაც წლიური გეგმის 63%-ს შეადგენს და 928 000 ათასი ლარით აღემატება 2011 წლის ანალოგიურ პერიოდში მობილიზებულ მაჩვენებელს. მიღებული შემოსულობების 88% შემოსავლებზე, ხოლო 10% ვალდებულებების ზრდაზე მოდის.


2012 წლის ბიუჯეტის კანონის ბოლო ცვლილების<sup>1</sup> მიხედვით მისაღები საბიუჯეტო შემოსავლების მოცულობა განისაზღვრა 7 053 600 ათასი ლარით, რაც 8.9%-ით აღემატება

<sup>1</sup> 2012 წლის 13 ივლისის ცვლილება

2011 წლის გეგმით განსაზღვრულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან უდიდეს წილს საგადასახადო შემოსავლები შეადგენს, რომლის საპროგნოზო მოცულობა 6 300 000 ათასი ლარს და შესაბამისად, მთლიანი შემოსავლების 89%-ს უტოლდება.



წინა წლების მსგავსად, საგადასახადო შემოსავლებში უდიდესი წილი არაპირდაპირი გადასახადებზე მოდის, კერძოდ მხოლოდ დღგ-დან დაგეგმილი შემოსავალი საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობის 48%-ს შეადგენს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით 2013 წლის 1 იანვრიდან გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირება, რაც კიდევ უფრო გაზრდის არაპირდაპირი გადასახადების წილს მთლიან შემოსავლებში. გადასახადების აღნიშნული სტრუქტურა, როგორც წესი, ხასიათდება მომხმარებლების მიმართ გაზრდილი საგადასახადო ტვირთით.



საგრანტო შემოსავლები 2012 წლის ბიუჯეტის კანონში მათში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად განისაზღვრა 333 600 ათასი ლარით, რაც 9%-ით აღემატება წინა წლის იმავე

მაჩვენებელს. მისაღები გრანტების 53% გამოიხნულია მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯების დასაფარად, ხოლო დანარჩენი 47% კი კაპიტალური დანახარჯებისთვის.

ბიუჯეტის კანონის 2012 წლის მაისის ცვლილებით სხვა შემოსავლები დაიგეგმა 420 000 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილებით მოხდა სხვა შემოსავლების მუხლით მისაღები თანხების 120 000 ათასი ლარით ზრდა, ძირითადად რენტიდან (110 000 ათასი ლარი) და საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის მუხლებიდან მისაღები შემოსავლების (13 000 ათასი ლარი) ზრდის ხარჯზე.

2012 წლის რვა თვის მდგომარეობით ფაქტიურმა შემოსავლებმა 4 552 600 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 64,5%-ია და მცირედით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (63.2%). აქედან, საგადასახადო შემოსავლებმა 4 012 800 ათასი ლარი და წლიური გეგმის 63.7% შეადგინა. ცალკეული გადასახადების ტიპების მიხედვით 8 თვის მანძილზე საგადასახადო შემოსავლების მობილიზება წლიური გეგმის მიმართ 45.8%-იდან (სხვა გადასახადები) 67.3%-მდე (მოგების გადასახადი) მერყეობს. 2012 წლის 8 თვის მდგომარეობით მობილიზებული გადასახადების წილი წლიურ გეგმაში თითქმის ემთხვევა გასული წლის შესრულების მაჩვენებლებს შემდეგი ტიპის გადასახადებისათვის:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 026 400 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 64%-ს უტოლდება. წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებით კი საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული თანხები წლიური გეგმის 63%-ს შეადგენდა.
- დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულმა სახსრებმა გასული წლის მსგავსად მიმდინარე წელსაც რვა თვის მდგომარეობით წლიური გეგმის 63% შეადგინა.
- აქციზის გადასახადიდან მიღებულმა საბიუჯეტო შემოსავლებმა მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით წინა წელთან შედარებით 1%-ით მოიმატა და წლიური გეგმის 63% შეადგინა.

გასულ წელთან შედარებით მობილიზების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება შემდეგი გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები:


- 2011 წლის რვა თვის მდგომარეობით მოგების გადასახადის სახით მობილიზებულმა შემოსავლებმა წლიური გეგმის 73% შეადგინა, ხოლო მიმდინარე წლის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 67%-ს გაუტოლდა.
- იმპორტის გადასახადის სახით 2012 წლის რვა თვის მონაცემებით მობილიზებული თანხები წლიური გეგმის 60%-ს უტოლდება, რაც 5%-ით ჩამორჩება გასული წლის შესრულების მაჩვენებელს ანალოგიური პერიოდისათვის.
- სხვა გადასახადებიდან მობილიზებული შემოსავლების მოცულობა მიმდინარე წლის რვა თვის მდგომარეობით შეადგენს 20 600 ათასი ლარს რაც წლიურ გეგმის 45,8 %. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის გეგმა 6 000 ათასი ლარით აჭარბებს 2011 წლის გეგმას თუმცა რვა თვის განმავლობაში სხვა გადასახადებიდან მობილიზებული შემოსავალი 4 900 ათასი ლარით ჩამორჩება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

თუ ასევე გავითვალისწინებთ 2009-2011 წლებში აღნიშნული გადასახადების სახით შემოსავლების მობილიზების ტენდენციას<sup>2</sup>, აუცილებელია წლის დასასრულამდე დამატებითი ყურადღება მიექცეს იმპორტისა და სხვა გადასახადების მუხლით შემოსავლების მობილიზების პროცესს, რათა უზრუნველყოფილ იქნას 2012 წლისათვის საპროგნოზო პარამეტრების მიღწევა.

მნიშვნელოვანი არაპროპორციულობით ხასიათდება ბიუჯეტის შესრულება საგრანტო და სხვა შემოსავლების მუხლებში. კერძოდ, 8 თვის განმავლობაში გრანტებიდან მიღებულმა შემოსავალმა 138 900 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის მხოლოდ 42%-ს შეადგენს. ამავდროულად, სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულ იქნა 400 900 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 95.5%-ს შეადგენს და მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმას 64 400 ათასი ლარით აღემატება.

<sup>2</sup> 2009-2011 წლების მონაცემების მიხედვით ყოველი წლისთვის გამოანგარიშებული იქნა თითოეული ტიპის გადასახადიდან ბოლო ოთხი თვის განმავლობაში მობილიზებული თანხების წილი წინა 8 თვის მანძილზე იმავე გადასახადიდან აკუმულირებულ თანხებში, რის შემდგომაც თითოეული გადასახადისთვის 2009-2011 წლების მიხედვით გამოთვლილ იქნა აღნიშნული წილების საშუალო მნიშვნელობა და მასზე დაყრდნობით 2012 წლის ბოლოსთვის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების სავარაუდო მოცულობა.

### სხვა შემოსავლები (2012 წლის 8 თვე)



სხვა შემოსავლების მუხლში მიღებული თანხების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს შემოსავალი საკუთრებიდან, რომელმაც რვა თვის განმავლობაში 254 400 ათასი ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 134.6%). აღნიშნული ზრდა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია „საქართველოს რკინიგზიდან“ დივიდენდის სახით მიღებულ სახსრებთან (100 000 ათასი ლარი) და რენტის მიღებულ შემოსავლებთან, რომელმაც 117 900 ათასი ლარი და შესაბამისად, წლიური გეგმის 97.9% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მაისში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებით სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული შემოსავლების მუხლი შემცირდა 55 000 ათასი ლარიდან 51 500 ათას ლარამდე, მაშინ როდესაც 8 თვის განმავლობაში ამ მუხლით მიღებულმა სახსრებმა 125 800 ათასი ლარი და წლიური გეგმის 244.3% შეადგინა.


დაგეგმვაში არსებული ხარვეზები ვლინდება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობების ანალიზიდანაც:

- მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 58 100 ათასი ლარი შეადგინა და 6 თვის გეგმას 7.8%-ით გადააჭარბა, ხოლო რვა თვის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი 65 000 ათასი ლარს ანუ წლიური გეგმის 93%-ს გაუტოლდა.
- მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსულობამ 50 900 ათასი ლარი შეადგინა და 6 თვის გეგმას 1.2%-ით გადააჭარბა, ხოლო რვა თვის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი 55 100 ათას ლარს ანუ წლიური გეგმის 91.8%-ს გაუტოლდა.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

### გადასახდელები

მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი გადასახდელების 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ ჯამურად შეადგინა 6 231 055,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 76,74%-ს შეადგენს. გადასახდელების 84%-ს წარმოადგენს ხარჯები, ხოლო დანარჩენი 16 პროცენტი შემდეგნაირად ნაწილდება: არაფინანსური აქტივების ზრდა - 10%, ფინანსური აქტივების ზრდა - 5% და ვალდებულებების კლება - 1%. 9 თვისათვის დაგეგმილი გადასახდელების სტრუქტურა ძირითადად ემთხვევა წლიური გეგმით გათვალისწინებული გადასახდელების სტრუქტურას:




8 თვის განმავლობაში ვალდებულება აღებულია 5 303 228,1 ათას ლარზე, რაც 9 თვის გეგმური გადასახდელების 85% წარმოადგენს, ხოლო გადასახდელების საკასო შესრულებამ 8 თვეში შეადგინა 4 912 759,0 ათასი ლარი, რაც აღებული ვალდებულების 92,6%-ს წარმოადგენს. 8 თვის საკასო შესრულების მაჩვენებელი 9 თვის მთლიანი გეგმური გადასახდელების 78,84%-ს შეადგენს, რაც შესრულების დაბალი მაჩვენებელია. მაგალითად, 2011 წელს იგივე პერიოდისათვის გადასახდელების საკასო შესრულებამ 9 თვის გეგმის 88.3% შეადგინა.



2012 წლის 8 თვის მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები შემდეგნაირადაა განაწილებული:

**ხარჯების სტრუქტურა(2012, 8თვე)**



2011 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2012 წლის 8 თვეში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა გრანტების, საქონელი და მომსახურების და სხვა ხარჯების მუხლებმა. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი გაზრდილია 56,3%-ით რაც ყველაზე უფრო დიდ პროცენტულ ზრდას წარმოადგენს დანარჩენ მუხლებთან შედარებით. შემცირება შეეხო მხოლოდ შრომის ანაზღაურებისა და პროცენტის მუხლს, ამ მუხლების პროცენტულმა ცვლილებამ წინა წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით შეადგინა შესაბამისად - 0,08% და -25,1%.

დასახელება	2012 წლის 8 თვე	2011 წლის 8 თვე	ზრდა/კლება(%)
შრომის ანაზღაურება	775 183,3	775 769,2	-0.1%
საქონელი და მომსახურება	863 316,4	751 478,4	14.9%
პროცენტი	183 507,4	244 894,3	-25.1%
სუბსიდიები	205 894,8	178 284,3	15.5%
გრანტები	881 094,2	660 498	33.4%
სოციალური უზრუნველყოფა	125 3884,9	1 162 823,7	7.8%
სხვა ხარჯები	933 099,8	596 849,9	56.3%


რაც შეეხება შესრულების მაჩვენებლებს, საკასო შესრულების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 81,63%. საშუალო მაჩვენებლიდან ჩამორჩენა შეინიშნება სხვა ხარჯების მუხლში

(68,3%); ხოლო შესრულების მაქსიმალური მაჩვენებელი აქვს სოციალური უზრუნველყოფის მუხლს - 86,77%.

**2012 წლის ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 8 თვისათვის დაგეგმილი გადასახდელების შესრულებამ შეადგინა 5 765 922,4 ათასი ლარი, რაც წარმოადგენს 9 თვის დაზუსტებული გეგმის 86, 4%-ს.**

9 თვის დაზუსტებული გეგმის შესრულების საშუალო დონესთან შედარებით ჩამორჩენა შეიმჩნევა დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის შემდეგ სფეროებში: ეკონომიკური საქმიანობა (64%), გარემოს დაცვა (63,5%), საბინაო-კომუნალური მომსახურება (57,6%). ხოლო შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა: სოციალური დაცვა (93,2%), განათლება (93,2%) და თავდაცვა (93,5%).

**ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**



ხარჯების 2011 წლის მონაცემებთან შედარებამ გამოკვეთა ტენდენცია, რომ 2012 წელს ბიუჯეტის სოციალური ტიპის დანახარჯებმა უფრო მეტად მოიმატა, სხვა ტიპის დანახარჯებთან შედარებით. ეს ფაქტი ერთის მხრივ განპირობებული უნდა იყოს სახელმწიფოს პრიორიტეტების ცვლილებით, რაც ასახულია ქვეყნის 2013-2016 წლების ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტში. ბიუჯეტის გამჭვირვალების კუთხით უარყოფით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სხვა ხარჯების მუხლის მკვეთრი ზრდა, რომელმაც 2012 წლის 8 თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების დაზუსტებული გეგმის 15% შეადგინა, რაც აღემატება საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილ 10%-იან ზღვარს.

ბიუჯეტის კანონში 2012 წლის მაისში შესული ცვლილების შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი ასიგნებები გაიზარდა 204 570 ათასი ლარით, აქედან საბიუჯეტო სახსრები გაიზარდა 216 410 ათასი ლარით, გრანტები გაიზარდა 8 819 ათასი ლარით, ხოლო კრედიტები შემცირდა 20 658 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილებით ფინანსთა სამინისტროს ასიგნებები გაიზარდა 11 479,9 ათასი ლარით ანუ თავდაპირველი გეგმის 9,7%-ით, ეკონომიკის სამინისტროს ასიგნებები გაიზარდა 24 425 ათასი ლარით (17,5%), სხვა მხარჯავების ასიგნებების ცვლილება მოცემულია ცხრილში:

დასახელება	აბსოლუტური ზრდა/კლება (ათასი)	პროცენტული ზრდა/კლება
რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	15 710	1,6%
იუსტიციის სამინისტრო	-19 829	-26,8%
საგარეო საქმეთა სამინისტრო	15 000	19,7%
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	11 203	13,7%
ჯანდაცვის სამინისტრო	32 270	1,8%
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	28 903	24%
გარემოს დაცვის სამინისტრო	6 350	36,2%
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	9 209	18,4%
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	47 039	2,52%

როგორც ცხრილიდან ჩანს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საგარეო საქმეთა, იუსტიციის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, გარემოს, სოფლის მეურნეობის და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროებისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ. აღსანიშნავია ისიც, რომ იუსტიციის სამინისტროს სხვა სამინისტროებისაგან განსხვავებით ასიგნებები მნიშვნელოვნად შემცირდა (26.8%).

აღსანიშნავია, რომ დამატებითი ასიგნებების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი სრულყოფილად არ არის დასაბუთებული. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის ნიუ იორკში, ლონდონსა და ვაშინგტონში წარმომადგენლობებისათვის შენობების შესაძენად დამატებით გამოყოფილ იქნა 15 მლნ ლარი. ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ასიგნებები გაიზარდა 9 210.0 ათასი ლარით, რომლიდანაც ფეხბურთის ფედერაციისათვის გამოყოფილ იქნა 5 810.0 ათასი ლარი, ძირითადად რეგიონებში სპორტული ინფრასტრუქტურისა და ნაკრებებისათვის სპორტული

ინვენტარის შესაძენად, ხოლო 3 400.0 ათასი ლარი გამოიყო სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამით საჩოგბურთო ინფრასტრუქტურის, სარემონტო სამუშაოებისა და მსგავსი მიზნებისათვის. ზემოაღნიშნული ხარჯები ნაკლებ სავარაუდოა წარმოადგენდეს მოულოდნელ ხარჯს და შესაბამისად, საბიუჯეტო კანონის ცვლილების საფუძველს. ამდენად, გონივრული დაგეგმვის პირობებში შესაძლებელია მსგავსი მიზნების გამო ბიუჯეტის კანონის ცვლილების თავიდან აცილება.

გარკვეული პროგრამების ფარგლებში ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება უწყებების მიერ შესაბამისი პროგრამების ფარგლებში საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი ასიგნებების მოცულობას და დამატებითი სახსრების განკარგვის უფლება მთავრობას აქვს მინიჭებული. მაგალითისათვის, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2012 წლის საბიუჯეტო განაცხადით „ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ პროგრამის(პროგრამული კოდი 33 02) ფარგლებში მოთხოვნილმა ასიგნებამ შეადგინა 29 819.7 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში (რომელიც შემდგომ მიღებული იქნა კანონის სახით) საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის აღნიშნულ პროგრამაზე მთლიანი ასიგნება განისაზღვრა 49 819.7 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილ თანხას 20 000.0 ათასი ლარით აღემატება. ამასთან ბიუჯეტის კანონითვე განისაზღვრა, რომ აღნიშნული 20 000.0 ათასი ლარის განკარგვა მოხდებოდა მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ დამტკიცებული ასიგნების მოცულობა არ აჭარბებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ ზღვრულ მოცულობას, აღნიშნული სახსრების გამოყენების წინასწარ გაწერილი გეგმის გარეშე პროგრამის ბიუჯეტის 20 000.0 ათასი ლარით გაზრდა დაუსაბუთებელია. ანალოგიურად, 5 მლნ ლარითაა გაზრდილი ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნება (ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, პროგრამული კოდი - 24 06), და აღნიშნული თანხის განკარგვის უფლებაც მთავრობისთვისაა მინიჭებული.

დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს საბიუჯეტო უწყებებისათვის დამატებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მიზნობრიობა. მაგალითად, 2012 წლის მაისში

ბიუჯეტის კანონში ცვლილებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯამური ასიგნება გაიზარდა 28 903 ათასი ლარით, რაც აღნიშნული უწყებისათვის გამოყოფილი ასიგნებების მთლიანი მოცულობის 24%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხიდან 4 600 ათასი ლარი მიმართულ იქნა „რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ათვისების ღონისძიებების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის დასაფინანსებლად (პროგრამული კოდი 37 01 07), 8 000 ათასი ლარით გაიზარდა რთველის ხელშეწყობი ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებები, დამატებით 3 000 ათასი ლარი გამოიყო მეღვინეობის ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის, ხოლო 9 000 ათასი ლარი დაემატა ყურძნის შესყიდვის და დამუშავების პროგრამას. დანარჩენი თანხები გადანაწილდა ქართული ღვინოპროდუქციის ხელშეწყობის ღონისძიებების, მევენახეობის განვითარების ღონისძიებების, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის მართვისა და ადმინისტრირების, და სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ეპიზოოტური კეთილსაიმედოობის პროგრამის მართვისა და ადმინისტრირების დასაფინანსებლად. დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს ასევე ის ფაქტიც, რომ იუსტიციის სახლების მშენებლობისათვის განკუთვნილი 30 000 ათასი ლარიდან იუსტიციის სამინისტრომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში გადარიცხა 25 000 ათასი ლარი.

2012 წლის მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებით, კულტურის სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა გაიზარდა 11 203 ათასი ლარით, საიდანაც 5 მილიონი განსაზღვრულ იქნა ბაგრატის ტაძრის აღდგენითი სამუშაოებისათვის ფისკალური წლის მესამე კვარტალში გასახარჯად, ხოლო დანარჩენი 6 203 ათასი ლარი გამოიყო კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ზოგიერთი ორგანიზაციის, მათ შორის სსიპ-ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის (828 ათასი); სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის (720 ათასი); სსიპ-ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის (831 ათასი); სსიპ-თბილისის ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრის და ა.შ. შეუფერხებელი ფუნქციონირების მოტივით. თავდაპირველად, აღნიშნული თანხები გამოყოფილ იქნა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ხოლო შემდგომში, საბიუჯეტო კანონში ცვლილების შეტანის შედეგად გამოყოფილი სახსრები ასიგნებად დაუკანონდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის N1186 და N43 განკარგულებებით ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის(პროგრამული კოდი 39 02 01) ფარგლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოეყო დამატებით შესაბამისად, 2699.0 და 587.0 ათასი ლარი, რომელიც მიმართულ იქნა საქართველოს რეგიონებში სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად(საფეხბურთო მოედნების საფარის შესაცვლელად და ფეხბურთის ფედერაციისთვის ე. მცხეთაში მიწის ნაკვეთის შესაძენად, რომლის დანიშნულებაც განსაზღვრული არ არის).


*საბიუჯეტო კანონში შეტანილი ცვლილებებით ცალკეული უწყებებისათვის ასიგნებების ზრდა სრულყოფილად არაა დასაბუთებული. ამასთან, ცალკეული უწყებების ბიუჯეტის ფორმირების პროცესში აღინიშნება დარღვევები, კერძოდ, სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხით ისეთი ტიპის სუბსიდიების დაფინანსება, რაც არ შეიძლება დაკავშირებული იყოს მოულოდნელ დანახარჯებთან. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით განხორციელებულ შესყიდვებზე არ ვრცელდება შესყიდვების კანონი, რაც დამატებით რისკს წარმოადგენს და ეწინააღმდეგება საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობის პრინციპს.*

### სხვა ხარჯები

2012 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმით სხვა ხარჯების მუხლმა შეადგინა 933 099,84 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების დაზუსტებული გეგმის 15%-ია. აქედან ვალდებულება აღებული იქნა 670 100,94 ათას ლარზე, ანუ გეგმური მაჩვენებლის 71.9%-ზე. თუმცა კვარტლების მიხედვით არაპროპორციულადაა განაწილებული სხვა ხარჯების როგორც გეგმური, ისე შესრულების მაჩვენებლები. კერძოდ, პირველი ორი კვარტლის ჯამური გეგმა თითქმის უტოლდება მიმდინარე წლის ივლისის და აგვისტოს ჯამურ გეგმას. ამავდროულად, პირველი კვარტლის მდგომარეობით სხვა ხარჯების მუხლიდან ვალდებულება აღებული იქნა 189 486,74 ათას ლარზე, რაც ამ პერიოდის დაზუსტებულ გეგმას 3 130,51 ათასი ლარით აღემატება<sup>3</sup>. ხოლო 6 თვის მდგომარეობით ვალდებულება

<sup>3</sup> დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმის ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია (საბიუჯეტო კოდექსი მუხლი 18)

აღებულ იქნა 403 123,06 ათას ლარზე, რაც წარმოადგენს კვარტალური გეგმის მაღალი მაჩვენებლით (99,5%) შესრულებას.



აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 8 თვის დაზუსტებული გეგმა სხვა ხარჯების მუხლში 336 250 ათასი ლარით აღემატება 2011 წლის 8 თვის ანალოგიურ მაჩვენებელს (596 850 ათასი ლარი). სხვა ხარჯების მუხლით აღებული ვალდებულებების მოცულობა კი 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 222 200 ათასი ლარითაა გაზრდილი.

*წინა წელთან შედარებით სხვა ხარჯების მუხლის ზრდა სრულყოფილად დასაბუთებული არაა. ამასთან, ზოგიერთ მხარჯავ დაწესებულებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში (კულტურის სამინისტრო, განათლების სამინისტრო) სხვა ხარჯების მუხლით შედარებით დიდი ოდენობის სახსრებია გამოყოფილი. აუცილებელია საბიუჯეტო კლასიფიკაციაში დეტალურად განისაზღვროს ხარჯის „სხვა ხარჯად“ კლასიფიცირების კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს ამ მუხლის გამჭვირვალებას და ასევე ამ მუხლიდან რესურსების რაციონალურად ხარჯვას.*

### საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 258 044,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 65,7% წარმოადგენს. რაც შეეხება ფაქტობრივ შესრულებას, 2012 წლის 8 თვის მონაცემებით ამ თანხიდან აღებულმა ვალდებულებამ 1 148 780,7 ათასი ლარი შეადგინა.

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ოდენობა საბიუჯეტო კანონით განისაზღვრა 1 866 511,5 ათასი ლარით, აქედან 1 830 102,5 ათასი ლარი წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებს, 6 909 ათასი ლარი გრანტებიდან, ხოლო 29 500 ათასი

ლარი- კრედიტებიდან მიღებულ სახსრებს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების ქვემუხლები საბიუჯეტო კანონით შემდეგნაირად განისაზღვრა:

- 49 01-საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა განისაზღვრა 320 784 ათასი ლარით, აქედან 199 858 ათასი ლარი მიმართულია ვალების მომსახურებაზე, ხოლო 120 926 ათასი ლარი ვალდებულებების ძირითადი თანხის დაფარვაზე.
- 49 02-საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის მუხლმა შეადგინა 170 500 ათასი ლარი, აქედან 135 500 ათასი ლარი წარმოადგენს ხარჯებს, ხოლო დანარჩენი 35 000 ათასი ლარი მიმართულია ვალდებულებების დაფარვაზე.
- 49 03-საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე არსებული ხარჯები განისაზღვრა 4 500 ათასი ლარი.
- 49 04-ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების მოცულობა განისაზღვრა 819 980 ათასი ლარით, ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გადასაცემი ტრანსფერები 7 500 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა მთლიანად გამოიხურა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე გადასაცემად და არ ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადასაცემ ტრანსფერებს. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები შეადგენს 812 480 ათას ლარს.
- 49 05-პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 50 000 ათასი ლარით
- 49 06-მთავრობის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 50 000 ათასი ლარით
- 49 07-წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განისაზღვრა 20 000 ათასი ლარით
- 49 08- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი განისაზღვრა 297 000 ათასი ლარით
- 49 09- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა განისაზღვრა 50 000 ათასი ლარით
- 49 10- საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა განისაზღვრა 500 ათასი ლარით
- 49 11- ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების დაფარვა განისაზღვრა 30 000 ათასი ლარით
- 49 12- სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა-10 000 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი მიმდინარე წელს პირველად გაჩნდა საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახდელებში. მისის ცვლილების შედეგად ფონდი შემცირდა 5 000 ათას ლარამდე. 8 თვის განმავლობაში საკასო შესრულებამ შეადგინა 3 454,4 ათასი ლარი.
- 49 13-დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები განისაზღვრა 43 247,5 ათასი ლარით. ამ მუხლში შედის დონორების




დაფინანსებით განსახორციელებელი პროექტები ბათუმში და ხელვაჩაურში, ასევე მყარი ნარჩენების პროექტი აჭარაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში 22 მაისს შეტანილი ცვლილებით, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 47 039,5 ათასი ლარით და 1 913 551 ათასი ლარი შეადგინა. ასიგნებების ზრდის პარალელურად ცვლილებები განიცადა აღნიშნული ხარჯების სტრუქტურამაც, კერძოდ:

- გაუქმდა ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების დაფარვის მუხლი (49 11),
- 10 000 ათასი ლარით შემცირდა საგარეო სახელმწიფო მომსახურების ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის მუხლი (49 01),
- 19 500 ათასი ლარით გაიზარდა საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის მუხლი (49 02)
- 10 მილიონი ლარით გაიზარდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების ოდენობა
- 100 000 ათასი ლარით გაიზარდა და 397 000 ათასი ლარით განისაზღვრა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა.
- 5 მლნ ლარით შემცირდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობის მუხლი.

2012 წლის ივლისში ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებით შეიქმნა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ფონდი, რომლის ბიუჯეტიც განისაზღვრა 50 000 ათასი ლარით. ამ თანხების მობილიზება მოხდა საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის გამოყოფილი სახსრების შემცირებით, შესაბამისად, 11 950 ათასი და 39 100 ათასი ლარით.

**ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები**



2012 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმით ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები განისაზღვრა 836 372,4 ათასი ლარით, აქედან 8 თვის

განმავლობაში ვალდებულება აღებული იქნა 804 964,9 ათას ლარზე.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები მეტნაკლებად პროპორციულად არის გადანაწილებული კვარტლების მიხედვით, თუმცა ცალკე ივლისსა და აგვისტოში ვალდებულება აღებულ იქნა 315 364,23 ათასი ლარზე.

ეს თანხა აღემატება როგორც პირველ კვარტალში, ასევე მეორე კვარტალში აღებულ ვალდებულებებს. ხარჯების მსგავსი პროპორციით გადანაწილება გამოწვეულია რეგიონებში განსახორციელებელი პროგრამების სეზონურობით, რამდენადაც ძირითადი პროექტები ზაფხულში და შემოდგომაზე ხორციელდება.


**2012 წლის საბიუჯეტო კანონის მე-17 მუხლი** განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შევსების წესს. აღნიშნული თანხები გამიზნულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებისათვის. 2012 წლის განმავლობაში, ფონდში დასაბრუნებელი თანხა განისაზღვრა 53 400 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა უკან უნდა იქნეს დაბრუნებული თვითმმართველი ერთეულებისათვის ხაზინის #30200600 ქვეკოდის 6004 ანგარიშიდან. 8 თვის მდგომარეობით ამ ანგარიშიდან თვითმმართველი ერთეულებისათვის უკან დაბრუნებულმა თანხამ შეადგინა 39 360 ათასი ლარი.

*ბუნდოვანია რა მიზანს ემსახურება თვითმმართველი ერთეულებიდან თანხის მოთხოვნა და შემდგომში ამავე თანხის თვითმმართველობებისათვის უკან დაბრუნება, მსგავსი ტიპის ბრუნვა არ უწყობს ხელს თვითმმართველობებს შორის რესურსების განაწილების სამართლიანობის ზრდას, ასევე საფრთხეს უქმნის ფონდიდან გახარჯული თანხების გამჭვირვალებასა და მიზნობრიობას.*

**რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

2012 წლის 8 თვის განმავლობაში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილმა სახსრებმა 361 702,2 ათასი ლარი და წლიური გეგმის 101,1%<sup>4</sup> შეადგინა. ფონდიდან გაწეული ხარჯები შემდეგი პროპორციით განაწილდა მხარჯავებზე:

**რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**



ფონდიდან გამოყოფილი თანხების უდიდესი წილი (60%) მიმართულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებზე (49 04). აღნიშნული მიზნით 2012 წლის 8 თვის განმავლობაში გამოიყო 217 210,7 ათასი ლარი.

*რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2012 წლის 8 თვის მონაცემებით, გახარჯულ იქნა 361 702,2 ათასი ლარი. არც საბიუჯეტო კოდექსით და არც წლიური საბიუჯეტო კანონით დეტალურად არ რეგულირდება აღნიშნული ფონდიდან თანხის განკარგვის წესი და ფონდიდან რესურსების გახარჯვა ხდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად<sup>5</sup>. საბიუჯეტო სახსრების გამოყენების გამჭვირვალების ზრდის მიზნით სასურველია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს აღნიშნული ფონდიდან რესურსების განკარგვის წესი.*

<sup>4</sup> წლიური გეგმა კახეთს სტიქიის შემდეგ საბიუჯეტო კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად განისაზღვრა 357 900 ათასი ლარით.

<sup>5</sup> თუ ფონდიდან გასაცემი თანხა არ აღემატება 100 ათას ლარს, ამ შემთხვევაში პრემიერ მინისტრი უფლებამოსილია ფინანსთა სამინისტროს წარდგინებით მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე (18.06.2010. N3114)

### **საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი**

წლიურმა ასიგნებებმა შეადგინა 50 000.00 ათასი ლარი, 8 თვის განმავლობაში საბიუჯეტო დეპარტამენტის ცნობების მიხედვით გამოყოფილია 39 137,03 ათასი ლარი მ.შ.

- მხარჯავ დაწესებულებებს 7 272 ათასი ლარი;
- სამხარეო რწმუნებულების აპარატებს 1 805 ათასი ლარი;
- ადგილობრივ ბიუჯეტებს 30 060 ათასი ლარი.

საკასო ხარჯმა შეადგინა 36 964,78 ათასი ლარი.

### **საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი**

წლიურმა ასიგნებებმა შეადგინა 50,000.00 ათასი ლარი, 8 თვის განმავლობაში მთავრობის განკარგულებებისა და პრემიერ-მინისტრის ბრძანებების საფუძველზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 27 077,38 ათასი ლარი. აქედან:

- მხარჯავ დაწესებულებებს გამოეყოთ 23 760.84 ათასი ლარი;
- სამხარეო რწმუნებულების აპარატებს 304 ათასი ლარი;
- ადგილობრივ ბიუჯეტებს გამოეყოთ 3 012,54 ათასი ლარი;


საკასო ხარჯმა შეადგინა 18 981,3 ათასი ლარი. გარდა აღნიშნული საკასო ხარჯისა, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 8 თვის განმავლობაში განკარგულებებით გამოყოფილი 51 661 ათასი ლარი გადატანილია მხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებებში. აღნიშნული თანხებით შესყიდვები სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნების გარეშე განხორციელებული, ვინაიდან სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებები სახელმწიფო შესყიდვებს არ ექვემდებარება. საბიუჯეტო კანონში ასახვის შემდეგ მხარჯავი დაწესებულებები ვალდებულნი არიან, მაგრამ ვერ უზრუნველყოფენ შესყიდვების სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებას.

### **სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ნაშთი**

ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის სხვაობა წარმოადგენს ფულადი საშუალებების ნაშთს და აღირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიანი სისტემის ნაშთების ანგარიშებზე.

2012 წლის 1 სექტემბრისათვის სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე რიცხული ნაშთი 280 550,4 ათასი ლარით აღემატება წლის დასაწყისში დაფიქსირებულ მოცულობას (135 190,9 ათასი ლარი) და 415 741,3 ათას ლარს შეადგენს, რაც წლის განმავლობაში ნაშთის დაგროვების ტენდენციაზე მიუთითებს.

**საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება:  
(გამოყენება-) (დაგროვება+)**



ანალოგიურ ტენდენციას ავლენს თავისუფალი ნაშთის<sup>6</sup> დინამიკაც, რომელიც წლის დასაწყისში არსებულ მოცულობასთან შეადრებით თითქმის გასამმაგდა და 2012 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით 414 679,5 ათასი ლარი შეადგინა.

განსხვავებული სურათი გვაქვს ფულადი სახსრებით საინვესტიციო გრანტებით პროექტების დაფინანსების მუხლთან მიმართებით. აღნიშნული მუხლი მაისის შემდგომ თითქმის 2,5-ჯერ შემცირდა. 2012 წლის აგვისტოს მდგომარეობით ფულადი სახსრებით საინვესტიციო გრანტებით პროექტების მუხლით არსებული ნაშთი 508 9 ათას ლარს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი თავდაპირველი მოცულობისაგან (6 659,8 ათასი ლარი).

რაც შეეხება ფულადი სახსრებით საინვესტიციო კრედიტებით პროექტების დაფინანსების მუხლს, მისი მოცულობა 163,1 ათასი ლარიდან 2 292,5 ლარამდე გაიზარდა, თუმცა აგვისტოს თვეში თითქმის 4-ჯერ შემცირდა და 552,9 ათასი ლარი შეადგინა.

<sup>6</sup> „თავისუფალი ნაშთი“ მთავრობის გადაწყვეტილებებით, გამოიყენება წლის განმავლობაში წარმოშობილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო „ფულადი სახსრებით საინვესტიციო გრანტებით პროექტების დაფინანსების მუხლისა“ და „ფულადი სახსრებით საინვესტიციო კრედიტებით პროექტების დაფინანსების მუხლებიდან“ ხარჯვა ხორციელდება შესაბამისი დანიშნულებით.

აღსანიშნავია, რომ მაისსა და ივნისში ფულადი სახსრებით საინვესტიციო გრანტებით პროექტების დაფინანსების და ფულადი სახსრებით საინვესტიციო კრედიტებით პროექტების დაფინანსების მუხლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ამავდროულად მნიშვნელოვნად მცირდება თავისუფალი ნაშთის მოცულობა. ივნისის შემდგომ თავისუფალი ნაშთის მოცულობა იზრდება აღნიშნული ორი მუხლის ხარჯზე. აგვისტოს მონაცემებით, ფულადი სახსრებით საინვესტიციო გრანტებითა და საინვესტიციო კრედიტებით პროექტების დაფინანსების მუხლები, შესაბამისად, 6-ჯერ და 4-ჯერ მცირდება, ხოლო თავისუფალი ნაშთის მუხლი 117 690, 5 ათასი ლარით იზრდება.

*ბაზინის ანგარიშზე დიდი ნაშთის დაგროვება მიუთითებს ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯების არაეფექტურ პროგნოზირებაზე. კერძოდ წლის დასაწყისთან შედარებით ნაშთი გაიზარდა 280,55 მლნ ლარით, იმ პირობებში, როდესაც მხარჯავი დაწესებულებები მნიშვნელოვანი გადახრების გარეშე ასრულებენ ხარჯების წინასწარ განსაზღვრულ გეგმას. გასათვალისწინებელია, რომ ასევე გაურკვეველია წლის განმავლობაში თავისუფალი ნაშთის მოცულობის მზარდი ტენდენციის მიზეზი. დაგროვილი თავისუფალი ნაშთი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კრედიტებისა და გრანტების სახით.*

## სახელმწიფო ვალი

2011 წლის დეკემბერში დამტკიცებული კანონით 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 10 039.5 მლნ ლარით მათ შორის, საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა შესაბამისად დადგინდა 8 117.0 მლნ ლარის და 1922.5 მლნ ლარის დონეზე. 2012 წლის მაისში ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ნაშთი შემცირდა 9 660.3 მლნ ლარამდე (საგარეო- 7 722.3 მლნ ლარი; საშინაო - 1 938 მლნ ლარი), რაც ძირითადად საგარეო კრედიტების ზღვრული მოცულობის შემცირებით იყო განპირობებული. კანონის შემდგომი ცვლილებები სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობაზე არ ასახულა. 2012 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ნაშთი მშპ-ს 36.53%-ს შეადგენს და თითქმის უტოლდება მშპ-სთან მიმართებაში სახელმწიფო ვალის ფარდობის 2011 წლის ბოლოს დაფიქსირებულ მაჩვენებელს. თუმცა, ნომინალურ გამოხატულებაში სახელმწიფო ვალის

2012 წლის ბოლოსათვის პროგნოზირებული მოცულობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 771.3 მლნ ლარით აღემატება.

2011 წლის დეკემბერში დამტკიცებული ბიუჯეტის კანონით 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საგარეო სესხების მუხლში ვალდებულებების ზრდა განისაზღვრა 946 მლნ ლარის დონეზე, ხოლო ვალდებულებების კლება 120.926 მლნ ლარის დონეზე. 2012 წლის მაისში კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, საგარეო სესხების ზრდის მოცულობა გაიზარდა 958.371 მლნ ლარამდე. კანონის შემდგომი ცვლილებები ვალდებულებების მუხლზე არ ასახულა.

რაც შეეხება საპროცენტო ხარჯებს, 2011 წელს დამტკიცებული კანონით 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საპროცენტო ხარჯები განისაზღვრა 335.358 მლნ ლარის დონეზე. 2012 წლის განმავლობაში მოხდა აღნიშნული თანხის თანდათანობითი შემცირება და საბოლოოდ, 2012 წლის ივლისში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, საპროცენტო ხარჯები 293.908 მლნ ლარით განისაზღვრა.

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ მთავრობის მოხსენების მიხედვით, საანგარიშო პერიოდის ბოლოს სახელმწიფო და სახელმწიფო გარანტიით აღებული ვალის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 8 754 მლნ ლარი, რაც პროგნოზირებული მშპ-ს მიმართ 36.46%-ს შეადგენს და საერთაშორისო სტანდარტით მიღებულ ლიმიტს (60%) მნიშვნელოვნად ჩამორჩება. აღნიშნული თანხის უდიდეს წილს (78.25%) საგარეო კრედიტები წარმოადგენს, რომელთა მოცულობამაც შესაბამისად, 6 849.9 მლნ ლარი ანუ მშპ-ს 25.4% შეადგინა, რაც 2011 წლის ბოლოსათვის დაფიქსირებულ მაჩვენებელზე ნაკლებია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე მშპ-სთან მიმართებაში. აღნიშნული შემცირება დაკავშირებულია: 1. აღნიშნულ პერიოდში საგარეო ვალდებულებების დაფარვის თანხების გადაჭარბებასთან ვალდებულებების ზრდის მოცულობაზე; 2. 2012 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში ლარის გამყარების ტენდენციასთან.

	2011წ	2012წ 6 თვე	2012 წ	2013წ
მთლიანი სახელმწიფო ვალი	8 889	8 754	9 660.3	9 618.4
მშპ-სთან პროცენტულად	36.69%	32.46%	36.53%	32.84%
მათ შორის:				
შიდა ვალი	1 873	1 904.1	1 938.0	1 975.9
შიდა ვალი, მშპ-სთან მიმართებაში	7.73%	7.06%	7.33%	6.75%
საგარეო ვალი	7 016	6 849.9	7 722.3	7 642.5
საგარეო ვალი, მშპ-სთან მიმართებაში	28.96%	25.4%	29.2%	26.1%

### ვალდებულებების ზრდა

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშების მიხედვით, 2012 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში ვალდებულებების ზრდამ 237 მლნ ლარი შეადგინა და 6 თვის გეგმას 4.6%-ით (10 მლნ ლარით) გადააჭარბა. გეგმისაგან გადახრა დაკავშირებული იყო ძირითადად საგარეო სესხების ზრდასთან, რომლის მოცულობაც 6 თვის განმავლობაში 184.458 მლნ ლარს უტოლდება და საანგარიშო პერიოდის გეგმას 5.6%-ით აღემატება. ამავდროულად, ვალდებულებების კლებამ 6 თვის განმავლობაში 58.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც გეგმას 0.8%-ით ჩამორჩება ძირითადად საშინაო ვალდებულებების პუნქტში გეგმიდან 2%-იანი ჩამორჩენის ხარჯზე. შედეგად, ვალდებულებების ჯამური ცვლილება 178.8 მლნ ლარს გაუტოლდა, და 6 თვის გეგმას 6.4 %-ით გადააჭარბა, რაც პოზიტიურ ცვლილებად ვერ ჩაითვლება.

ამავდროულად, 2012 წლის 8 თვის განმავლობაში ვალდებულებების ზრდის ანალიზი მიუთითებს სესხების არაპროპორციულ გადანაწილებაზე, კერძოდ, როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალდებულებების უდიდესი წილი მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოშია მიღებული.


6 თვის განმავლობაში საგარეო ვალდებულებების ზრდამ შეადგინა 184.458 მლნ ლარი ანუ წლიური გეგმის 19.25%. ამავდროს, 2012 წლის 8 თვის განმავლობაში საგარეო სესხების მუხლში ვალდებულებების რეალურმა ზრდამ (განხორციელებულმა ჩამორიცხვებმა) შეადგინა 420.9 მლნ ლარი (261.3 მლნ აშშ დოლარი), რაც წლიური გეგმის 43.92%-ია. მხოლოდ ივლის-აგვისტოში საგარეო ვალდებულებების ზრდა - 236.4 მლნ ლარი (133,240,179.95 აშშ დოლარი) 52 მლნ ლარით მეტია პირველი 6 თვის განმავლობაში ვალდებულებების ზრდის



ჯამურ მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2012 წლის აგვისტოში ვალდებულებების ზრდამ შეადგინა 91.8 მლნ აშშ დოლარი, რომლის უდიდეს ნაწილს 2012 წლის 20 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე კონკურენტუნარიანობის და ზრდის განვითარების პოლიტიკის I ღონისძიების ფარგლებში განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან მიღებული 39,800,000 SDR-ის ოდენობის (60 მლნ აშშ დოლარი) ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხი შეადგენს.

მსგავს ტენდენციას ავლენს საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელიც. 2012 წლის 8 თვის განმავლობაში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მობილიზებულ იქნა 91.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის (100 მლნ ლარი) 91.9%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც, მთავრობის ანგარიშის მიხედვით, 6 თვის განმავლობაში საშინაო ვალდებულებების ფაქტობრივმა ზრდამ შეადგინა 52.544 მლნ ლარი. შესაბამისად, მხოლოდ 2012 წლის ივლის-აგვისტოში საშინაო ვალდებულებების ზრდის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 19.678 მლნ ლარს შეადგენს, რაც პირველი 6 თვის საშუალო მაჩვენებელს 2.25-ჯერ აღემატება. ზემოაღნიშნული მიუთითებს როგორც დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე, ასევე დამატებითი ხარჯების საშინაო ვალდებულებების ზრდის ხარჯზე დაფინანსების ტენდენციაზე.


### ვალდებულებების ზრდა თვიური, 2012 წელი



2012 წლის 8 თვის განმავლობაში ვალდებულებების ზრდა განხორციელდა ძირითადად მრავალმხრივი კრედიტორებისგან, კერძოდ კი, საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისაგან, ასევე გერმანიის მთავრობისაგან მიღებული სახსრების ხარჯზე. რაც შეეხება მიზნობრიობას, 2012

წლის განმავლობაში მიღებული სახსრების 23%-ს საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხი შეადგენს, დანარჩენი კრედიტები კი მიმართულ იქნა საინვესტიციო ხასიათის პროექტების დასაფინანსებლად, მათ შორის:

- შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი(KfW)- 22.5 მლნ აშშ დოლარი;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა (იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო) - 23.5 მლნ აშშ დოლარი;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი - მსოფლიო ბანკი) - 20.8 მლნ აშშ დოლარი.




### ვალდებულების მომსახურება და დაფარვა

საგარეო ვალდებულების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები 2009 წლიდან მკვეთრი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2011 წელს საგარეო ვალდებულების მომსახურებისა და დაფარვისათვის გამოყოფილ იქნა 659.6 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც 435.25 მლნ აშშ დოლარი წარმოადგენს 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების წინსწრებით გამოსყიდვისათვის გამოყოფილ სახსრებს. ამ თანხის გათვალისწინების გარეშეც კი, 2011 წელს საგარეო ვალდებულების მომსახურებისა და დაფარვის თანხამ შეადგინა დაახლოებით 224 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 88 მლნ აშშ დოლარით აღემატება. 2012 წელს ვალდებულების მომსახურებისა და დაფარვის ჯამური მაჩვენებელი ნავარაუდევია 383 მლნ აშშ დოლარის,

ხოლო 2013 წელს 597 მლნ აშშ დოლარის დონეზე<sup>7</sup>. მომსახურებისა და დაფარვის თანხების მოსალოდნელი ზრდა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი არსებული დავალიანების კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტთან ერთად, 2008 წელს დამტკიცებული Stand-By Arrangement პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 477 მლნ ნასესხობის სპეციალური უფლების (SDR) ოდენობის საკრედიტო რესურსის ძირითადი თანხის დაფარვასთან.

	2009 წ	2010 წ	2011 წ	2012 წ	2013 წ	2014 წ
<i>ძირითადი თანხის დაფარვა</i>	53.5	60.96	541.2	290.3	502.2	341.7
<i>მომსახურების ხარჯები</i>	67.4	75.3	118.4	92.4	94.7	91.7
<b>სულ</b>	<b>120.9</b>	<b>136.3</b>	<b>659.6</b>	<b>382.7</b>	<b>597</b>	<b>433.4</b>

საგარეო ვალების მომსახურება და დაფარვა  
(აშშ დოლარი)



ბიუჯეტის კანონის მიხედვით 2012 წლისათვის დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები 483.347 მლნ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური ხარჯების 7.1%, ხოლო პროგნოზირებული საბიუჯეტო შემოსავლების 6.85%-ია.

რაც შეეხება, 8 თვის შესრულებას, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების ძირითადი დაფარვისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართულ იქნა 45.3 მლნ ლარი (27,5 მლნ აშშ დოლარი), რაც წლიური მაჩვენებლის 37.5%-ია. ჯამურად, 2012 წლის 8 თვის განმავლობაში სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 135.2 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც 107.6 მლნ აშშ დოლარი ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო


<sup>7</sup> ჯამური მაჩვენებლები მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის გადასახდელ თანხას, რომელიც სახელმწიფო საგარეო ვალის ნაწილს წარმოადგენს, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტში არ აისახება.

სავალუტო ფონდის მიერგამოყოფილი საკრედიტო რესურსის ძირითადი თანხის დაფარვას მოხმარდა.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის გასაწევ საპროცენტო ხარჯებს, ბიუჯეტის კანონში აღნიშნული მიზნით განსაზღვრულ იქნა 293,908.0 ათასი ლარი, რაც 2011 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს(282,699.6 ათასი ლარი) 11.2 მლნ ლარით აღემატება. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე გასაწევი ხარჯები 2012 წელს შეადგენს 85.2 მლნ აშშ დოლარს, რაც 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე თითქმის 24 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია.


მთავრობის ანგარიშის მიხედვით, 8 თვის შესრულებამ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების მუხლში 78.0 მლნ ლარი (47.4 მლნ აშშ დოლარი), რაც წლიური გეგმის 55.7%-ს შეადგენს. საშინაო ვალდებულებების მომსახურების საკასო შესრულებამ ამავე პერიოდში 76.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც შესაბამისად წლიური გეგმის 51.2 %-ია.

**ვალდებულების მომსახურება და დაფარვა  
2012 წლის 8 თვე**




კრედიტორების ტიპის მიხედვით ხარჯების სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ როგორც ძირითადი თანხის დაფარვის, ისე საპროცენტო ხარჯების უდიდესი წილი მრავალმხრივი კრედიტორების (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების) მიმართ არსებულ ვალდებულებებზე მოდის. კერძოდ, თუ არ ჩავთვლით ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის გადახდილ თანხას, ძირითადი თანხის დაფარვისათვის გამოყოფილი სახსრების უდიდესი წილი მოდის საერთაშორისო განვითარების ასოციაციისათვის (9.962 მლნ აშშ დოლარი) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისათვის (3.179 მლნ აშშ დოლარი) გადახდილ სახსრებზე. ორმხრივი კრედიტორებისადმი გადახდილი სახსრების უდიდესი წილი მოდის რუსეთისა და

თურქეთისადმი (პარიზის კლუბის შეთანხმებით რესტრუქტორიზებული ვალდებულებების დაფარვა) და გერმანიისადმი გადახდილ თანხებზე.



რაც შეეხება მრავალმხრივი კრედიტორებისათვის გადახდილ საპროცენტო ხარჯებს, უდიდეს წილს 17.1 მლნ აშშ დოლარის ოდენობით (43%) 2011 წელს გამოშვებული ევროობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელები შეადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციისადმი არსებული ვალდებულებების მომსახურებისათვის გაღებულმა ხარჯებმა, შესაბამისად, მრავალმხრივი კრედიტორებისადმი არსებული ვალების მთლიანი მომსახურების 24% და 15% შეადგინა.




## სახელმწიფო ბიუჯეტის სალდო

2009-2010 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდოს უარყოფითი მაჩვენებლები ფიქსირდებოდა, ხოლო 2011 წელს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ხარჯზე მიღწეული იქნა საოპერაციო სალდოს დადებითი მაჩვენებელი. თუმცა გასული წლების მსგავსად არაფინანსური აქტივების ცვლილების მაღალ ნიშნულზე(849.2 მლნ ლარი) შენარჩუნების ფონზე, აღნიშნულ წელსაც უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 270.05 მლნ ლარით დაიგეგმა, რაც 348,3 მლნ ლარით ჩამორჩება 2011 წლის ბოლოსთვის დაფიქსირებულს მაჩვენებელს. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ წლევანდელ გეგმაში საბიუჯეტო ხარჯების ზრდამ გადააჭარბა შემოსავლების ზრდას. რაც შეეხება მთლიან სალდოს, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით მისი მოცულობა განისაზღვრა -458.67 მლნ ლარით და წინა წლის ფაქტიურ მაჩვენებელს 227,9 მლნ ლარით გადააჭარბა, რაც ძირითადად საოპერაციო სალდოს შემცირებამ განაპირობა.


მთლიანი სალდო წლების მიხედვით



2012 წლის 8 თვის მდგომარეობით ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ 12.6 მლნ ლარი, ხოლო საოპერაციო სალდომ 366.4 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ვალდებულებების წმინდა ზრდა 443.3 მლნ ლარის ხოლო პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლები 65.1 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა, ხოლო ხაზინის ერთიან ანგარიშზე ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 280.4 მლნ ლარი.

რაც შეეხება ბიუჯეტის პარამეტრების დინამიკას თვეების მიხედვით, როგორც გრაფიკის ანალიზიდან ჩანს, არაფინანსური აქტივების ცვლილება წლის განმავლობაში ეტაპობრივი ზრდით ხასიათდება და განსაკუთრებით იმატებს ივნის-აგვისტოს განმავლობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარე წლის მაისის თვიდან შეინიშნება მთლიანი სალდოს კლების ტენდენცია, მაგრამ რვა თვის მდგომარეობით მისი მაჩვენებელი ჯერ-ჯერობით დადებითია (12.6 მლნ ლარი), თუმცა დარჩენილ პერიოდში დაგეგმილია არაფინანსური აქტივების ცვლილების ზრდა 374.9 მლნ ლარით და საოპერაციო სალდოს შემცირება 96,3 მლნ ლარით, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს მთლიანი სალდოს უარყოფით მაჩვენებელს.

**მთლიანი სალდოს დინამიკა (2012 წელი)**



აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 6 თვის მდგომარეობით, როგორც საოპერაციო, ისე მთლიანი სალდოს მონაცემები აჭარბებს გეგმით განსაზღვრულ მაჩვენებლებს. კერძოდ, საოპერაციო სალდომ შეადგინა 380 მლნ ლარი და გეგმას თითქმის 50%-ით გადააჭარბა. რაც შეეხება მთლიან სალდოს, აღნიშნული მაჩვენებელი დაფიქსირდა 159 მლნ ლარის დონეზე, მაშინ როდესაც გეგმით 4.7 მლნ ლარის ოდენობით იყო განსაზღვრული. ამგვარი მასშტაბის გადაჭარბება ძირითადად განაპირობა ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ცვლილების გეგმისაგან ჩამორჩენამ შესაბამისად, 4%-ითა და 11.6%-ით. აღნიშნული აშკარად მიუთითებს დაგეგმვაში, უფრო კონკრეტულად კი, ასიგნებების კვარტალურ განწერაში არსებულ ხარვეზებზე. ამავე პერიოდში ვალდებულებების წმინდა ზრდამ 178.8 მლნ ლარი, პრივატიზებიდან მიღებულმა შემოსულობებმა (არაფინანსური აქტივების კლება) 58.1 მლნ ლარი, ხოლო ვალუტისა და დეპოზიტების წმინდა ცვლილებამ 282.5 მლნ ლარი შეადგინა.

## საერთო შეფასება

გარდა ზემოთაღნიშნული ხარვეზებისა, საერთო ჯამში, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, როგორც მიმდინარე წლის 8 თვის, ასევე ნაზარდი ჯამით თვეების მიხედვით მომზადებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული მაჩვენებლები სწორად და სრულად ასახავენ ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას.